თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 30 აგვისტოს
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 14

ქ. თერჯოლა

30 აგვისტო 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2.გრიგოლ გიორგაძე, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემურ ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10.ეკა ბერძენიშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარ ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. ტარიელ ფანჩულიძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18.რამინი რობაქიძე, 19. კახა ბუცხრიკიძე, 20.დავით ცხადაძე, 21.კობა კირკატაძე, 22. ფრიდონ გვენეტაძე, 23.როლანდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.ომარი ჯიხვაშვილი, 2.დავით გოგბერაშვილი, 3. თამარი ახვლედიანი, 4. ნატალია ასათიანი, 5.მერაბი ბასილაძე, 6. რუსუდან კოვზირიძე, 7. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 23 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები - ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი.

სხდომა დაიწყო 14 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 14 ¹⁵სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა

განსაზღვრის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282424238,29.08.2024 წ).

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი.
საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს N 27/08/02 განკარგულებით საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა 2024 წლის 26 ოქტომბერს. შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" თანახმად ევალებათ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში გამოყონ და გამოაქვეყნონ იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრა, სადაც საარჩევნო სუბიექტებისთვის შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების გამართვა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -23, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № 29.2924243001. 30/08.2024).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი